წლიწადი I-ლი
პარასკევი 14 იანვარი
ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი 50 მან.
4 " " " .45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.
ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მიათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 9 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 9

ელექტრო თეატრი „აპოლლო“
ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

პარასკევიდან, 14 იანვრიდან 1921 წ. საინტერესო კინო დრამა

## საიდუმლო მკვლელობა

2 სერიათ 8 ნაწილათ
ორივე სერია წავა ერთად
მთავარ როლს შეასრულებს სიშჩიკი მაქს ლანდი.

ანონსი: 19 იანვარს ახალი სურათი პოლონსკის და კოვალენკოს მონაწილეობით.

═ საღამო ბატონისა ═

ელექტრო-თეატრი „ტრიუმფი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

პარასკევიდან 7 იანვრიდან 1921 წ. საშიბო პროგრამა!
უდანაშაულოთ გასამართლებული

## ოცი წლის კატორღა.

(ევანგელისტი)
დრამა სემინარიელების ცხოვრებიდან.

═ ფრანგული კამარინი ═

ანონსი: მზადდება დასადგმელად რკინის კანცლერი.
ანონსი: ოთხშაბათიდან 12 იანვრიდან წავა ახალი სურათები.

## განცხადება.

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან მოიმარაგა რა საჭირო მასალები ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ქვა ფენილების შესაკეთებლათ სჭირდება მოხელე, რომელსაც შეიძლება ექნება აიღოს მთელი სამუშევარი, რისთვისაც ნიშნავს ფარული შეჯიბრების დღეთ 7 იანვარს, დღის 12 საათზე და იმ დღეს მსურველნი, სამუშევარის აღების, უნდა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ფარულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ყოველ გვარ ცნობების მიღება დასახელებულ სამუშევარის შესახებ შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღიურ თ, შეჯიბრების დღემდე, დილის 9 საათიდან შუა დღის 3 საათამდე.

3—3 ქალაქის გამგეობა.

## განცხადება.

ბათომის ქალაქის თვითმართველობა

სამი იანვრიდან 1921 წ. იხსნის

═ საჯარო ვაჭრობის დარბაზს ═

ყოფილ ლომბარდის შენობაში.

დარბაზი მიიღებს ყოველგვარ საქონელს ძვირფას ნივთებს, ოქრო, ვერცხლს, ავეჯს, ტანისამოსს და სხვა ყოველგვარ სხვილ თუ წვრილ საგნებს, რომლებიც გაიყიდება დანიშნულ დღეს საჯარო ვაჭრობით. საჯარო ვაჭრობა შეიძლება აგრეთვე დაინიშნოს დარბაზის გარეთაც, სადაც ამას საქონლის პატრონი მოითხოვს. საჯარო ვაჭრობიდან აღებული ფული გადაეცემა მეპატრონეთ, სრულიად ყ. ი. პროცენტების გამოუკლებლათ.

3—3 ბათომის ქალაქის გამგეობა.

## ბათომის მუშათა მაგიდა

კარაქი, მიღებული ბათომის საბაჟოდან, მაგიდის მიერ გადაეცა კოოპერატივ

═ „სხივს“ ═

ბათომის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეზე გასანაწილებლათ, გირვანქა კარაქი გაყიდული უნდა იქნას 630 მანეთად სულზე ნახევარი გირვანქა.

2 მუშათა მაგიდა.

## განცხადება

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 იანვარს ამა 1921 დანიშნულია გადაჭრითი საჯარო ვაჭრობა სასწორებისა ნურიისა და არ ავინის ბაზრებში ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ გირაო 50,000 მანეთი თითოეულ ვაჭრობაში მონაწილეობისათვის.

ვაჭრობა იქნება სიტყვიერი ყოველგვარ პირობების განცნობა შეიძლება გაიცნონ ქალაქის გამგეობის განცელარიაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე ნ ყოველ საქმე დღეს ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე.

25 2—2 ქალაქის გამგეობა.

## განცხადება

მუშათა მაგიდის მიერ დაწესებულ წესების თანახმათ მაგიდის დეპოზიტის დასაფარავათ ფული უნდა შემოიტანონ დამქირავებლებმა ის დამქირავებლები რომელნიც აიძულებს მუშას ან მოსამსახურეს შეიტანს მაგიდაში ხსენებული ფული—ჩემ მიერ იქნება

მიცემული პასუხის გებაში

გთხოვთ კავშირთა საბჭოს, გამგეობებს და პროფესიონალურ ორგანიზაციები წევრებს აცნობონ შრომის კომისარიატს ყოველივე შემთხვევა დამქირავებელთა მხრივ მაგიდის წესების დარღვევისა.

20 შრომის კომისარი ა. წულაძე.

იურიდიული კაბინეტი ნაფიც ვექილ

### გ. ნ. ათაბეკოვისა და ნ. მ. ტურგოვიჩისა

კონსულტ და წარმოება საქმეებისა; სამოქალაქო, საკომერციო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციის და შედგენა ყოველ გვარ ქაღალდების, წესდებათა, ხელშეკრულებათა და აქტებისა.
მიღება დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე. მარინეს პრ. სახ. № 29.
2—2

## განცხადება

ამით შრომის კომისარიატი აცხადებს, რომ

### ახალი წელი ძველი სტილით არ არის

### უქმე დღე

რის გამო მუშაობა ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში

### უნდა სწარმოებდეს ჩვეულებრივათ

24 2—2 შრომის კომისარი აფ. წულაძე.

ყველაფრით უზრუნველ ყოფილი გემი



„დალმაცია“

მოვიდა 13 იანვარს და წავა შაბათს, 15 იანვარს დღის 4 საათზე.
გაივლის ნავთსადგურებს: კონსტანტინეპოლს, ბრინდიზ, ტრიესტს და ვენეციას.

მიიღებს მგზავრებს 1,2,3 კლას. და ბარგს

ცნობების მიღება შეიძლება ლლოიდ ტრიესტინოს სააგენტოში

## ბათომი, 14 იანვარი.

მოსკოველ „იზვესტიაში“ ფრიად საყურადღებო წერილია მოთავსებული. ავტორი აღნიშნავს რუსეთის მუშათა კლასის გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობას, სპეკულიანტთა სიმრავლეს და სპეკულიაციის უსაზღვრო ზარებს და ამბობს, რომ ფართე სოციალური ზომათა გამომუშავება სასწრაფოთ ცხოვრებაში გატარება; არის სადღეისო საქმე წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორის აზრით, მუშათა კლასი დაშორდება კომუნიზმს, და სოციალური გარდაქმნის პროცესი დიდი ხნით შეჩერდება.

ავტორი უკავშირებს პროსტიტუციის განვითარებას მუშათა კლასის გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობას და გაიძახის: „დროა ბურჟუაზიული მემკვიდროება კომუნისტურ რუსეთში მოსპობილ იქნას.“

ფრიად დამახასიათებელი აღსარებაა. საბჭოთა რუსეთში მუშათა კლასი შიმშილობს, მას არ ეძლევა იმდენი რაციონი, ან სასყიდელი, რომ შესძლოს ოდნავ თავისი ოჯახის პირველი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. კომუნისტურ სამოთხეში მუშის ცოლი, რომ შიმშილით არ მოკვდეს და თავის შვილებს საარსებო პური მისცეს, ქუჩაში გამოდის და თავისი სხეულით ვაჭრობას იწყებს.

საბჭოთა რუსეთში პროსტიტუცია ძალზე განვითარდა და პროსტიტუციას მუშათა წრე იძლევა. სწორედ ისე, როგორც იყო ძველად.

რა გამოიცვალა, რით არის კარგი და მისაღები მუშათა კლასისათვის ის სისტემა, რომელიც რუსეთში არის შემოღებული. ჩვენ ვფიქრობთ ბევრი რამ გამოიცვალა, მაგრამ მუშათა კლასის საზიანოთ და არა სასარგებლოთ. და ამას თვით კომუნისტური პუბლიცისტები ადასტურებენ.

ჩვენთვის გასაგები და ადვილათ ასახსნელი იყო, როდესაც ძველ მეფის რუსეთში მუშათა კლასი შიმშილობდა, როდესაც მუშის ცოლი ქალმწირი თავის სხეულით ვაჭრობდა. კანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამბობდით, მუშა შრომობს, ჰქმნის ნივთიერ ღირებულებას, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს ითვისებს კაპიტალისტი, კაპიტალისტი მდიდრდება, განცხრომაში ცხოვრობს, მუშა კი ღარიბდება გაჭირვებაში და შიმშილში კვდება.

მაგრამ დღეს ბოლშევიკების სიტყვით საბჭოთა რუსეთში ძალა უფლება მუშათა კლასის ხელშია, ბურჟუაზიულ ურთიერთობის ძაფები დაწყვეტილია, წარმოების სოციალიზაცია გატარებულია და მთელი სიმდიდრე მუშათა კლასის ხელშია. და მუშა მაინც შიმშილობს, მუშა მაინც ქუჩაზე დახეტიალობს რაშია საქმე? ერთი ცხადია, თუმცა ბოლშევიკები ქვეყანას აყრუებენ და საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის სამოთხეთ გვიხატავენ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვჯერა, არ გვჯერა იმიტომ რომ სინამდვილე და ის ფაქტები, რომლებიც თვით ბოლშევიკების მიერ ქვეყნდებიან, სიტყვიერ სამოთხის მაგივრად ჯოჯოხეთს გვირდგენენ.

ბოლშევიკები რუსეთის წესების ჩვენში გადმოტანას გვირჩევენ, ბოლშევიკური რეჟიმის მიღებაც გვიქადაგებენ, ტარი ზნე ჩვეულების ჩვენი ხალხის მიერ შეთვისებას ძლიერ ცდილობენ. მისაღებია?

## მოკლე შენიშვნები.

### XI

სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდების პირველი დღიდანვე საქართველოს მუშებმა საქვეყნოთ აღიარა სამოქმედო პლატფორმა:

— დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ.

დღესაც ამაში გამოიხატება საქართველოს პოლიტიკური ...კონომიური პროგრამა.

ათასგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს უშლიდენ ამ მიზნის განხორციელებას.

ხშირათ ეს „მიზეზები" მეტად საშინელი და გარდაუვალი იყო, მაგრამ—საქართველოს მუშებმა სძლიეს უძლეველი!..

მშრომელი დემოკრატია ერთი ხელით მტერს იგერიებს, მეორე ხელით შინაურ ცხოვრებას აწყობს...

და ეს ხდება ერთ და იმავე დროს.

ცხადია — შესაფერ პირობებში მშრომელი დემოკრატია შესძლებდა ეკონომიურ საქმეების მოგვარებას, მაგრამ ვინ არ იცის თუ რა ჯურის მტრებთან ქონდა და დღესაც აქვს მას საქმე.

ჩვენ ვხედავთ, რომ უმძიმეს პირობებშიც საქართველო არ გადასცილებია ერთხელ აღებულ გეზს.

მან გამოიჩინა უკიდურესი პრინციპიალური სიმტკიცე, რასაც სარჩულად ედო მშრომელი დემოკრატიის სურვილი და ნების ყოფა.

სწორეთ ამით აიხსნება შინაური კრიტიკანების მიერ უკანასკნელ ხანებში აღებული კილო.

ჩვენს შინაურ და გარეშე მტრებს აერთხობს ჩვენი სიფხიზლე

მათ წელში სწყვეტს მუშათა კლასის შეურყეველი გადაწყვეტილება.

გარეშე მტრები ჩვენი დედამიწის ზურგიდან ასაფერფლად მილიარდებს ხარჯვენ, შინაური ორგულები ქამელეონივით ცვალებადობენ საკუთარი ქვეყნის დასაღუპავათ.

სხ. ჩვენ გვექნება მომავალში დრო ... ზრო მსჯელობათ გამოვაფინოთ მკი-უფების წინაშე ბუნება და შინაარ-ჩაი ... ქართველოს დამოუკიდებლობის ... ეგობრივი და ...ერული ავ-

23

საქართველო ივლის ერთხელ და სამუდამოთ არჩეულ გზით მიაღწევს დასახულ მიზანს.

ეს გზა იქნება ფრთხილი და შეურიგებელ ბრძოლით დამშვენებული, დაუღალავი და მომავლის საიმედო სხივებით გაჩირაღდნებული.

ეკონომიურ ცხოვრებაში შეურიგებლათ გატარდება წარმოების თანდათანობითი განსაზოგადოებრივობა

ისტორიამ ჩვენ ბევრი გაკვეთილი მოგვცა.

ჩვენ უკვე გვაქვს რუსეთის მაგალითი.

სოციალისტურმა ნახტომმა ამ ვეებერთელა ქვეყანაში, რომელსაც წინეთ მთელი მსოფლიო ანგარიშს უწევდა, რომელსაც თავისი ძლევამოსილი ჯარებით არა ერთხელ აუოხრებია ზოგიერთი თავისუფალი ევროპის ქვეყნები, საშინელება მოახდინა.

დაანგრია წარმოება, ამოსწყვიტა მუშათა კლასი და ოდესღაც იდეურათ ამაყი ქვეყანა მტრების სასაცილოთ დააგდო.

„რუსეთის ხალხს დარჩენია ისევ გამოქვაბულებს შეაფაროს თავი." სწერენ უცხოების მიუდგომელი ჟურნალისტები.

„გამოქვაბული"... ადვილი სათქმელია!

ეს ნიშნავს ქვეყნის დაღუპვას, კულტურის მოსპობას და განმეორებას ისტორიის იმ საფეხურისა, რომელსაც ადამიანის ველურობა ეწოდება.

ჩვენ გვაქვს მეორე უდიდესი მაგალითი ევროპის მუშათა კლასის ცხოვრებიდან.

იტალიის მრეწველებმა გადასცენ მუშებს ფაბრიკა ზავოდები, გადასცენ უმნიშვნელოვანესი საწარმოვო დაწესებულებანი.

იტალია რუსეთი ხომ არ არის, რომ იქაც წარმოება განადგურებული ყო!..

საფიქრებელი იყო, რომ მუშათა კლასი თავისუფალი იტალიისა, ევროპიულათ გაწვრთნილ-აღზრდილი, შეიძლებდა წარმოების გაძღოლას.

მაგრამ სინამდვილემ, საუბედუროთ, სულ სხვა სურათი გვაჩვენა.

თვით მუშებმა დაუბრუნეს ფაბრიკა-ზავოდები კაპიტალისტებს.

რას ნიშნავს ის მაგალითი?

წარმოების სრული განსაზოგადოებრივობისათვის შესაფერი პირობების მოუმწიფებლობას.

ეს ფაქტები გვასწავლის ჩვენ ნაადრევ სოციალისტური ექსპერიმენტის უნიადაგობას!

სოციალისტურ ნახტომების დამღუპველობას!

და, ამავე დროს, ეს არის საუკეთესო და საილუსტრაციო გამართლება საქართველოს მიერ აღებულ თანდათანობით სოციალურ გარდაქმნის პროგრამისა.

ჩვენში სახელმწიფო შეიჭრა სოციალურ პროგატივებში, მან თავისი გეგმა შეიტანა ამ სფეროში, მაგრამ ეს ჩარევა მისდა არა წარმოების წინააღმდეგ, არამედ მისდა სასარგებლოთ.

ჩვენ გვაქვს ამის უტყუარი საბუთები სახელმწიფოს მოღვაწეობიდან.

ამას ამტკიცებს ჩვენი ერობების და ქალაქების ყოველდღიური მუშაობა.

ამ პოლიტიკის გატარებას ხელს უწყობს ყველა მნიშვნელოვანი საზოგადო ორგანიზაციები.

ავიღოთ ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმო დარგი-შავი ქვის დამზადება.

წინეთ, როდესაც ეს საქმე კერძო მესაკუთრეთა სრულ უდავო განკარგულებაში იყო-თვეში მზადდებოდა რამოდენიმე ათეული ათასი ფუთი ნახშირი.

ეხლა — სახელმწიფოს ჩარევით თვიური ამოზიდვა ქვანახშირისა შეადგენს ერთ მილიონ ფუთს.

მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ ამ რაოდენობამ კიდევ უფრო იმატოს.

ადელხანოვის უდიდესი ფეხსაცმელების ქარხანა კერძო მესაკუთრის ხელში სანახევროთ მუშაობდა, დღეს კი, მთავრობის ხელში ის აკმაყოფილებს ჩვენი სამხედრო უწყების მოთხოვნილებას.

შეიძლება ახლო მომავალში ამ ქარხანაში დამზადებულ ფეხსაცმელებში ვისეირნოთ ჩვენც.

მადნები, ტყეების ექსპლოატაცია, თამბაქოს რეალიზაცია,—ყველაფერი ეს წინ მიდის და დიდ მოგებას დაუტოვებს სახალხო ხაზინას.

ჩვენ გვახსოვს, რა გამძაფრებული ბრძოლა გამოიწვია დამფუძნებელ კრებაში ჩვენმა ეკონომიურმა პოლიტიკამ.

ყველაზედ უფრო აბრაზებდა და სტანჯავდა—მოწინაამდეგეთ „საშინელი".—

— მონაპოლია!

ამ სისტემაზე, როგორც ბედაურზე, ბევრი ინავარდეს მემარჯვენეებმა, მათ ეს სახედარი-საფეთქლის ამოვარდნამდე აჭენეს დაბოლოს კი გამოირკვა, რომ მონაპოლიის საშვალებით ექსპორტიორებს უნახევრდებოდათ მოგება. ერთი ნახევარი რჩებოდათ მათ, მეორე ნახევარი კი ჩადიოდა ხალხის ჯიბეში.

არც მეტი და არც ნაკლები.

ამან აამღვრია მესაკუთრეთა პარტია..

აი ნამდვილი ფასი ყველა იმ გამოსვლებისა, რომლებიც თითქოს გულისხმობდენ ეკონომიურ პოლიტიკის კრიტიკას, ნამდვილათ კი უპასუხისმგებლო კრიტიკანობა იყო.

საწარმოო დაწესებულების მოწყობას ადგილობრივმა თვითმართველობებმა უკვე მოჰკიდეს ხელი.

დედაქალაქს აქვს ქ ა რ ხ ნ ე ბ ი რომლებიც ამუშავებენ საყასბოებიდან გადარჩენილ საქონლის ნაშთებს..

ოზურგეთმა მოაწყო საუცხოვო ხეტყის ქარხანა, რომელიც ამ ცოტა ხანში კიდევაც ამუშავდება.

ბათომის ქალაქის გამგეობამ ავგოვალკის სისტემის დიდი წისქვილი დასაფქვავ ხორბლეულებას უკვე ღებულობენ, წისქვილი დღეში აფქვავს 1500 ფუთს.

უკვე შეძენილია მანქანები ზეთის ზავოდის მოსაწყობათ. ამ ...რთთვეში ეს წარმოებაც გაიხსნება, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ბაზრისათვის

ბათომის ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა კერძო პირებს საყასბოებში დაკლულ საქონლის ნაშთების დამუშავებაზე, რადგანაც თვით ქალაქი ფიქრობს ახლო მომავალში საუტილიზაციო ქარხნების მოწყობას, ეს კი მისცემს ქალაქს.

— საკუთარ საპონს.

— ძეხვებს. გადახარშულ ხორცს, ბულიონს და ... სანაკელე და სათბობ მასალას.

დაისვა საკითხი საქსოვი ფაბრიკის გახსნის შესახებ..

ამ ნაირათ ეკონომიურ ბრძოლაში ჩვენ თანდათანობით და უბრალოთ ვიჭერთ პირველ პოზიციებს.

ასეთ საქმეებში გამოიწრთობა ახალი მ...

სახელმწიფო და საზოგადო ფაბრიკა ზავოდებში გამოიჭედება მათი ცოდნა და გამოცდილება და მომავალში ჩვენ გვეყოლება საწარმოვო დარგების ღირსეული მეთაურები.

ეს კი კიდევ უფრო გაგვიადვილებს ჩვენი მიზნის განხორციელებას:

კაპიტალისტურ საკუთრების თანდათანობით გაბათილებას და სოციალისტურ წყობილებაზე გადასვლას.

კ. ფირცხალაიშვილი.

## ირლანდიის ბრძოლები.

„ირლანდიაში პოლიციის აგენტებს ელეტენ!.

„მეტროპოლია ჯარს ჰგზავნის წესრიგის აღსადგენად..

ირლანდიის ქალაქებში დახოცილია ქალები და ბავშვები!..

დეპუტატმა კენვერტიმ თემთა პალატაში ირლანდიის ამბების გამო შეტანილ შეკითხვის განხილვის დროს აღშფოთებით განაცხადა. ლოიდ-ჯორჯის საყვედრობით. თქვენა ხართ ბანკების და ქალების მკვლელები, თქვენ გსურთ ჯარის გაგზავნით დაიცვათ „წესიერება". ასეთია ქრონიკა ირლანდიის ყოფისა.

ირლანდია მუდმივ წამების ქვეყანაა, იქ ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლის და მსხვერპლის შეწირვას საზღვარი არ უჩნდება.

ინგლისის ლორდები ცივი ნერვებით უმზერე ირლანდიის ამბებს. მათ გულს არ ხვდება ირლანდიის მოწამეობრივი ოხვრა და სისხლის ქცევა.

ძლიერი იმპერია ჯარს ჰგზავნის ირლანდიის დასასჯელად და ამით ყველაფერს ათავებენ...

მაგრამ ასეთი ზომებით უფრო აღვიძებენ ინგლისის მესაჭენი ირლანდიის ბრძოლის ცეცხლს.

ირლანდია არ დასცხრება, ყოველგვარი სიმკაცრე მეტროპოლიისა მის სიმხნევეს და ენერგიის მომატებას გამოიწვევს.

პოლიციელების ჟლეტიდან ირლანდიელები ... არ არის ჯარის ჟლეტაზე გადავლენ.

და მაშინ უფრო ძნელად დაისმება ირლანდიის საკითხი ლორდების წინ.

„თავისუფლების კლასიური და ცივილიზაციური" ქვეყანა, ინგლისი აზიის დესპოტებზე ბევრად წინ წავიდა ირლანდიის წამებაში, ირლანდიის პიროვნების გათელვაში..

განათლებული ინგლისი ვერ იმეტებს თავისუფლებას ირლანდიისთვის, ირლანდიას არ უბრუნებს მას, რაც ბუნებრივად ამ ერის კუთვნილებაა და რაც ინგლისმა მას წაართვა.

ირლანდია კულტურით და თავისებურ ცხოვრება ცივილიზაციით მსოფლიოში ცნობილი ქვეყანაა, მას ძალუძს დამოუკიდებლად ეროვნული არსებობა, მრეწველობა, მეურნეობა, განათლება და ეკონომიური სიმდიდრე ზემო ხსენებ ერს ამის საფუძველს აძლევს, მაგრამ გული ქვაა ლონდონი...

ლონდონს ჰსურს გულგრილად უცქიროს ირლანდიის უბედურებას და ირლანდიაშიც ვითარდება ერთხელ დაწყებული „ამბები".

ეს ამბები ერთხელ საბოლოო გარდატეხის ხასიათს მიიღებენ, ეროვნულ თავისუფლების დასაბრუნებლად აღმდგარი ერი ... თავისას გაიტანს.

ირლანდია იშვიათი მებრძოლია, ეროვნულ უფლებების ძიებაში მისი რაინდი შვილები ლამაზად სწირავენ თავს ეროვნულ სამსხვერპლოზე

და მათ წინააღმდეგ ლონდონი სერჟანტის ... გასჭრის

აღსანიშნავია, რომ უკანასკ... დროს ინგლისის იმპერიაში ჩვეულებრივად გაფართოვდა ერ...ნული მოძრაობა.

საზღვარო ინდოეთი დაიძრა თავის პიროვნების განთავისუფ...ბისთვის იარაღს აჟღარუნებს.

ინდოეთში ნამდვილი ეროვნ... განმათავისუფლებელი აჯანყებ...

ინგლისი, როგორც ირლანდი..., ისე ინდოეთშიც, თავის ბათალიონების შემწეობით ინარჩუნებს „ს...ტუსკვოს". მაგრამ ასე ვერ იქნ... ყოველთვის.

ერები, რომლებიც სრული ...ნით გამოვიდენ ბრძოლის ვე... საკუთარ თავისუფლების მოსაპო...ლად და ღირსნი არიან ამ თავის...ფლებისა, ადრე თუ გვიან უთუ... მიიღებენ მას.

ამ ჟამად ირლანდიის და ინდ...თის ეროვნულ მოძრაობას საგრ...ბად ხელს უწყობს ინგლისის მ...მელ მასის პარტიების ოპოზიც... დეპუტატები თემთა პალატაში.

ოპოზიციის დეპუტატები ჰკ...ვენ ინგლისის პოლიტიკას ირლ...დია ინდოეთისადმი და მოითხო... ამ ქვეყნების საკითხის პარლამენ...რულ წესით გადაწყვეტას.

თუ ამ რიგად დაისვა ხსენებ... ერების საკითხი თქმა არ უნდა ...ლანდია და ინდოეთი გაიმარჯვებ...

ჯერჯერობით კი ორივე ქვეყ...ში ეროვნული ბრძოლა სრულ ...ტენსივობით გრძელდება,

ეროვნულად მცირე ერის დამ...ნება ეს ყოველ დიდ სახელმწიფ... ბუნებაა, სულ ერთია იგი ევრო... კულტურის წარმომადგენელია ... აზიის დესპოტიზმის,.

თორემ გამარჯვებულ ინგლ... ჰმართებდა თავის იმპერიის ფარგ...ში გაქცეულ მონა ერებისთვის ...ვისუფლება მოენიჭებია, ეს იქნებ... მისგან მსოფლიო ომში გამარჯვ... აღსანიშნავად ამნისტიის გამოც... პა...კალიის გადახდა, მაგრამ ცხ...რებაში უბრძოლველად არაფე... იძლევიან .

ყველაფერი ბრძოლით და მსხვ...პლის გაღებით მოიპოვების..

ასეთია კანონი საწუთროსი..

პატარა ერებიც ეროვნულ თა...მყოფობის დასაცავად მუდმივ ბრ...ლისთვის უნდა იყვნენ გამზადებ... ასეთია ხვედრი მათი!...

ირლანდიაც ლამაზად იბრძ... და ის უშნოთ არც მოკვდება!..

ი. იმედა...

## უცხოეთი.

### საოკუპაციო ხარჯები.

იუწყებიან: რომ საფრანგეთ... მთავრობას აწუხებს ეს დიდი ხ...ჯები, რომლებიც საჭიროა საო...კუპაციო ჯარების შესანახად. ხარჯები მძიმე ტვირთად ედება გ...მანიას და ამგვარად ფერხდება ა...ზღაურების საქმე: ფიქრობენ, რ... ეს საკითხი განხილული იქნება ბრ...სელის კონფერენციაზე. განსაკუ...რებით დიდ ძალი ფული იხარჯ... ამერიკის ჯარზე. კობლენცში მყ...ფმა სარდლობამ აცნობა ამერიკ... ჯარის წარმომადგენელს, რომ 14,0... კაცის შენახვა ყოველდღიურ... 80,000 დოლარი ჯდება, რაც ს...რანგეთის ჯარის ხარჯებს აღემატ...ბა. ამერიკის ჯარის შენახვა, რ...გორც ამბობ. წინეთ ამის შესახ... ვაშინგტონიდან იუწყებოდენ, ჯ...